პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მზრუნველთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 289 (10375) | პარასკევი, 9 დეკემბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ბირმაში

ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა დარბაზობა გამართეს რანგუნში

რანგუნი, 6 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ნ. ს. ხრუშჩოვმა დარბაზობა გამართეს პრეზიდენტის სასახლეში.

დარბაზობას დაესწრნენ პირები, რომლებიც ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს ახლავან ბირმაში მათი მოგზაურობისას.

ბირმის მხრივ დარბაზობას დაესწრნენ: პრეზიდენტი ბა უ, პრემიერ-მინისტრი უ ნუ, ბირმის კავშირის მთავრობის წევრები, მაღალი თანამდებობის ოფიციალური პირები. დარბაზობას დაესწრნენ რანგუნში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

დარბაზობაზე სიტყვა წარმოთქვა ნ. ა. ბულგანინმა.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ბირმის პრეზიდენტმა ბა უმ.

ნ. ა. ბულგანინის სიტყვა დარბაზობაზე რანგუნში 6 დეკემბერს

ბ-ნო პრეზიდენტო!
ბ-ნო პრემიერ-მინისტრო!
პატივცემულო სტუმრებო!
მეგობრებო!

ჩვენი ყოფნა ბირმის სტუმართმოყვარე ქვეყანაში, სამწუხაროდ, დასასრულს უახლოვდება. ექვსი დღე, რომელთა განმავლობაში თქვენს ქვეყანას ვეცნობოდით, დიდი დრო როდია, მაგრამ ის, რაც ვნახეთ და გავიგეთ ამ ხანში, სამუდამოდ დარჩება ჩვენს ხსოვნაში.

ჩვენ ვნახეთ მთელი რიგი ქალაქები და ისტორიული ადგილები, შევხვდით თქვენი ქვეყნის რამდენიმე რაიონის მოქალაქეებს და შეგვეძლო პირადად დავრწმუნებულიყავით საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი ბირმელი ხალხის მეგობრობასა და ძმური გრძნობების გულწრფელობაში. შეხვედრების დროს თქვენს სახელოვან დედაქალაქ რანგუნში, ზემო ბირმის რაიონებში, სადაც ჩვენ ვიყავით, ყველგან ხელისუფალთა წარმომადგენლები და ხალხი გულთბილად, გულითადად გვიღებდნენ. ამ სტუმართმოყვარეობისათვის, ძმური გრძნობებისათვის, თქვენი ზრუნვისათვის გულითად მადლობას მოგახსენებთ ჩვენი სახელით და მთელი საბჭოთა კავშირის სახელით, რომლის წარმომადგენლებიც ვართ.

მე მსურს ვთქვა, რომ ეს გულთბილი და გულითადი მეგობრობა, ჩვენ ამამ, გამოჩენილი გრძნობების გულწრფელობა და ძალა, შემთხვევითი, ერთიანი ისევე როგორც შემთხვევითი არ იყო მხურვალე მისალმებანი და სტუმართმოყვარეობა, რაც ჩვენმა ხალხმა ჩვენს პატივცემულ მეგობარს პრემიერ-მინისტრ უ ნუს გაუწია საბჭოთა კავშირში. მეგობრობა ყოველთვის საურთიერთოა, და ჩვენ თქვენს შესანშნავ ქვეყანაში ნამდვილად ვგრძნობდით თავს, როგორც ჩვენს ძმებს შორის.

ბირმა და საბჭოთა კავშირი ბევრი რამით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სხვადასხვანაირია მათი ბუნება და ჰავა, ისტორიული და საყოფაცხოვრებო ტრადიციები. ბევრი თავისებურებაა ჩვენი ხალხების ხელოვნებასა და კულტურაში. სხვადასხვანაირია აგრეთვე ჩვენი ქვეყნების ეკონომიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილება. მაგრამ, როგორც ფაქტები ცხადყოფენ, ეს ხელს როდი გვიშლის ვიყოთ კარგი და ერთგული მეგობრები, ხელს არ გვიშლის განვავითაროთ თანამშრომლობა და სხვადასხვაგვარი ურთიერთობა.

დღეს ხელმოწერილ იქნა ერთობლივი განცხადება ბირმაში ჩვენი ყოფნის შესახებ. ჩვენი საუბრების შედეგად აზრები გავუზიარეთ ერთმანეთს საკითხებზე, რომლებიც ორივე ქვეყნისათვის საინტერესო და სასარგებლოა, და საერთაშორისო მნიშვნელობის მთელ რიგ გადაუდებელ პრობლემებზე.

ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ პირადი კონტაქტების დამყარება და სახელმწიფოთა ხელმძღვანელების მოლაპარაკება ურთიერთგაგებისა და ნდობის განმტკიცების ეფექტიანი გზაა, და რომ ასეთი კონტაქტები ხელს შეუწყობს ხალხთა მეგობრული ურთიერთობის განვითარებას.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ მეგობრობა და თანამშრომლობა, რაც ბირმის კავშირისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის დამყარდა, სულ უფრო განმტკიცდება და განვითარდება ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმის სასარგებლოდ.

მე დღეგრძელობას ვუსურვებ ბირმისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობასა და თანამშრომლობას!

ბირმის კავშირის ხალხთა წარმატებასა და აყვავებას!
ბირმის კავშირის ხელმძღვანელ მოღვაწეებს!
ბირმის კავშირის პრეზიდენტს დოქტორ ბა უს!
ბირმის პრემიერ-მინისტრს ამხანაგ ნუს!

★ ★ ★

რანგუნი, 7 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ დღის პირველ ნახევარში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვივნენ რანგუნის უნივერსიტეტს, სადაც მათ გულთბილად შეხვდნენ პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა და სტუდენტები.

შეკრებილი აუდიტორიის წინაშე სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ჩვენო ახალგაზრდა მეგობრებო, ბირმელო სტუდენტებო! მასწავლებლებო და პროფესორებო!

ნება მიბოძეთ მოგესალმოთ და პირადად ჩემი, ჩემი მეგობრის ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინის, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით გისურვოთ ყოველივე საუკეთესო.

ჩვენ ძლიერ კმაყოფილი ვართ, რომ შეგხვდით. თქვენს უნივერსიტეტში ყოფნისას გავიფიქრეთ — აი ბირმელი ხალხის მიერ მოპოვებული თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო შედეგი. უფრო ფართოდ გაიღო სასწავლებელთა კარები, და ამ სასწავლებლებში შევიდა ახალი ახალგაზრდობა, რათა დაეუფლოს ცოდნას, რაც საჭიროა ახალი ცხოვრების წარმატებით მშენებლობისათვის. **(ტაში).**

რამდენ ათეულ წელიწადს შთააგონებდნენ კოლონიზატორები მათ მიერ დამონებულ ხალხებს, რომ ისინი მადლობელი უნდა იყვნენ კოლონიზატორებისა იმისათვის, რომ დამკვიდრდნენ აზიის ქვეყნებში. კოლონიზატორები ამტკიცებდნენ, რომ მათ მიერ დამონებულ ქვეყნებში შეაქვთ თავიანთი კულტურა, ასწავლიან ხალხებს, თუ როგორ უნდა იცხოვრონ.

მაგრამ ახლა კოლონიზატორთა დრო წავიდა, თუმცა კოლონიზატორები ყველგან როდი გამქრალან. აზიის ხალხები მტკიცედ ჰკიდებენ ხელს თავიანთი ცხოვრების, მშენებლობის ისე, როგორც მათ სურთ.

თქვენ, რომლებმაც მოიპოვეთ თქვენი ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ახლა ყველაფერი უნდა გააკეთოთ, რათა უფრო განამტკიცოთ თქვენი მონაპოვარი. იმისათვის, რომ მოიპოვო ნამდვილი ფაქტიური თავისუფლება, საჭიროა განთავისუფლებულ ქვეყანაში შექმნა უცხო სახელმწიფოთაგან დამოუკიდებელი საკუთარი ეკონომიკა.

იმპერიალისტური სახელმწიფოები ძალიან ოსტატურად ეგუებიან მდგომარეობას, როცა იძულებული არიან დაუთმონ აჯანყებულ ხალხს. მათ გაჰყავთ თავიანთი ჯარები, მაგრამ ცდილობენ კიდევ უფრო დაიმორჩილონ ის ქვეყნები, საიდანაც თავიანთი შეიარაღებული ძალები გაჰყავთ, ეკონომიურად კიდევ უფრო დამოკიდებული გახადონ ისინი მონოპოლისტთა ნება-სურვილზე. ის, ვისაც თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობა სურს, ამას ვერ შეიწყნარებს. **(მქუხარე ტაში).**

ჩვენ ეს არაერთგზის გვითქვამს ინდოეთისა და ბირმის მოსახლეობასთან შეხვედრების დროს. და ეს ჩვენი სიტყვები ზოგიერთ ევროპელს არ მოსწონს. **(გამოცოცხლება დარბაზში, ტაში).** მაგრამ ყველა ევროპელს როდი სურს კოლონიზატორთა ბატონობა. ჩვენი ქვეყანაც ხომ ევროპული სახელმწიფოც არის და აზიურიც, რადგან საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ნაწილი ევროპულია, მეორე ნაწილი კი აზიური. საბჭოთა კავშირი მხარს არ უჭერს კოლონიზატორთა პოლიტიკას და მტკიცედ ილაშქრებს მის წინააღმდეგ. **(მქუხარე ტაში).**

ევროპის ზოგიერთი წრეები, რომლებიც მიჩვეული არიან იცხოვრონ იმ წესებით, რასაც ისინი აზიისა და აფრიკის ქვეყნების დამონებულ ხალხებს სწოვენ, ახლა ცახცახებენ, იმიტომ, რომ გრძნობენ აზიისა და აფრიკის ხალხების ძალასა და ძლიერებას, ხალხებისა, რომლებიც თავიანთი დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად აღდგნენ. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).** და ჩვენ საბჭოთა ადამიანებს, გვიხარია, რომ ხალხები იშორებენ კოლონიურ რეჟიმებს და გამოდიან დამოუკიდებელი განვითარების გზაზე. **(ხანგრძლივი ტაში).**

მე ხშირად მიხდება საუბარი უცხოელებთან. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ მე მქონდა ასეთი საუბარი ერთ ბურჟუაზიულ მოღვაწესთან, რომელიც ცდილობდა ჩემთვის მოეცა ამგვარი „კეთილი“ რჩევა.

იგი ამბობდა:

საბჭოთა კავშირი დიდ დახმარებას უწევს ჩინეთს. სწორად იქცევით თუ არა თქვენ? თქვენს ქვეყანაში 200 მილიონი მოსახლეა, ჩინეთში კი — 600 მილიონი. განა ეს საშიში არ არის თქვენი სახელმწიფოსათვის? როცა ჩინეთი შექმნის თავის მრეწველობას, განამტკიცებს თავის დამოუკიდებელ სახელმწიფოს, იგი საფრთხეს შეუქმნის საბჭოთა კავშირს. დაუფიქრდით, — ამბობდა ეს „კეთილმოსურნე“, — განა ღირს ასე მოქცევა. ძლიერი ჩინეთი დაემუქრება საბჭოთა კავშირსაც და ევროპის სხვა ქვეყნებსაც, შეავიწროებს მათ.

ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის, გასაგებია ასეთი რჩევა. კეთილი განზრახვით როდი გვაძლევენ ისინი ასეთ რჩევას. ასეთი რჩევა ემყარება ბურჟუაზიულ შეხედულებას, როცა გაბატონებულია პრინციპი — „ადამიანი ადამიანის მტერია“. კაპიტალისტურ სამყაროში გაბატონებულია ასეთი კანონი—შენ თუ ვინმეს არ ჩაგრავ, მაშასადამე, შენ დაგჩაგრავენ. თუ ქვეყანა სუსტია, მას დამოკიდებულ მდგომარეობაში ამყოფებენ. ჩვენ მტკიცედ ვილაშქრებთ ასეთი დებულების წინააღმდეგ. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენი მოძღვრება სულ სხვას მეტყველებს. ჩვენ ვამბობთ, რომ ადამიანი ადამიანის ძმა და მეგობარია. ჩვენ ვამბობთ, რომ ადამიანი ნიჭიერი არსებაა. ჩვენ ვამბობთ, რომ ერთი ადამიანი არ უნდა ჩაგრავდეს მეორეს, არ უნდა იყოს ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს დამონება. თუ კაცი განთავისუფლდა ეკონომიური მონობისაგან და დაეუფლა მეცნიერებას, იგი დაიმორჩილებს ბუნების ძალებს და ეს ძალები ემსახურებიან კაცობრიობას. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენ ვამბობთ, რომ თუ სწორად იქნება განაწილებული სიმდიდრე, რასაც ადამიანი ქმნის, თუ ადამიანი ექსპლოატაციას არ გაუწევს ადამიანს, მაშინ ადამიანის შრომით შექმნილი დოვლათი ქვეყნად ყველა ადამიანს ეყოფა. **(მქუხარე ტაში).** მაშინ შეიქმნება ჰარმონიული საზოგადოება მთელ დედამიწაზე. ყველა ადამიანი ერთმანეთის ძმა იქნება, მიუხედავად კანის ფერისა. **(ტაში).** გაქრება მტრობა ხალხთა შორის, შეწყდება ომები. **(ხანგრძლივი ტაში).** მთელი ეკონომიური საშუალებანი მოხმარდება ხალხთა კეთილდღეობასა და აყვავებას. **(ტაში).**

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, ძვირფასო მეგობრებო, თუ რა პროგრესს მიაღწევს მეცნიერება!

ჩვენ გავიცანით თქვენი უნივერსიტეტი. თქვენ და თქვენი უნივერსიტეტი ჩვენ მიგვაჩნია პირველ ყლორტებად, რომლებიც გაიზრდება კოლონიური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებულ მიწაზე. **(მქუხარე ტაში).**

ჩვენ გვითხრეს, რომ რანგუნში 9 ათასი სტუდენტია. ეს ბევრიც არის და ცოტაც. ბევრი — იმიტომ, რომ თქვენ წინათ საკმაო რაოდენობით არ გქონდათ საშუალო სკოლები. ჯერ კიდევ არა გაქვთ საჭირო შენობები და ლაბორატორიები სტუდენტთა დიდი რაოდენობისათვის, საჭირო რაოდენობით არა გყავთ პროფესორები და მასწავლებლები. ყოველივე ეს რომ გავითვალისწინოთ, თქვენ ბევრი სტუდენტი გყავთ.

თქვენი ქვეყნის საჭიროებასა და ხალხის ცოდნის წყურვილს თუ მივიღებთ მხედველობაში, მაშინ თქვენ სტუდენტები ჯერ კიდევ ცოტა გყავთ.

მაგრამ კარგი მცირეთი იწყება, შემდეგ იგი იზრდება და ვითარდება.

როცა ჩვენი ქვეყნის ხალხებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს და ახალი ცხოვრების შენება დაიწყეს, ჩვენშიც ძალიან ცოტა სტუდენტი იყო. საბჭოთა ხელისუფლებამ ფართოდ გაუღო უმაღლეს სასწავლებელთა კარები მუშა და გლეხ ახალგაზრდობას. ჩვენი მთავრობა იძულებული იყო მოეწყო მუშათა ფაკულტეტები, რათა მუშებს შეძლებოდათ საშუალო, ხოლო შემდეგ უმაღლესი განათლების მიღება, რათა სწრაფად გაზრდილიყო ჩვენი სახალხო ინტელიგენცია.

ვიტყვი ჩემს თავზე.

როცა ომი დამთავრდა და ჩვენი ქვეყნიდან გავრეკეთ ყველა ჩვენი მტერი, მე, ყოფილი მეშახტე, მუშათა ფაკულტეტზე შევედი სასწავლად. და მე მაშინ ისეთი ახალგაზრდა კი არა ვყოფილვარ, როგორც თქვენ, ჩემს წინაშე მყოფნი. მე უკვე 27 წლისა ვიყავი. ვსწავლობდით გულმოდგინედ, ვცდილობდით რაც შეიძლება უკეთ დავუფლებოდით მეცნიერებას. ამისათვის მოგვიწოდებდა დიდი ლენინი. და მთავრობა ყოველივეს აკეთებდა იმისათვის, რომ შესაძლებლობა გვქონოდა კარგად გვესწავლა. ვსწავლობდით უფასოდ. უფრო მეტიც; გვაძლევდნენ სტიპენდიას, როგორც ახლაც ჩვენს ქვეყანაში სტუდენტებს სტიპენდიას აძლევენ.

ასე იზრდებოდა და იქმნებოდა ჩვენი სახალხო ინტელიგენცია, ხალხიდან გამოსული ინტელიგენცია, რომელიც პატიოსნად და ერთგულად ემსახურება თავის ხალხს.

ახლა კი ჩვენში ისეა მოწყობილი სახალხო განათლება, რომ საბჭოთა კავშირში პირდაპირ ათობით მილიონი ადამიანი სწავლობს. მარტო უმაღლეს სასწავლებლებში ჩვენში მილიონზე გაცილებით მეტი სტუდენტი სწავლობს.

ჩვენში ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ქალაქისა და სოფლის მთელმა ახალგაზრდობამ საშუალო განათლება მიიღოს, რომ რაც შეიძლება მეტმა ახალგაზრდამ შეძლოს უმაღლესი განათლების მიღება.

მოკლე ვადაში, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 38 წელიწადში, ჩვენი ქვეყანა ჩამორჩენილი რუსეთიდან წერა-კითხვის მთლიანი ცოდნის ქვეყანა გახდა. საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასწავლებლები ყოველწლიურად უშვებენ გაცილებით მეტ ინჟინერს, აგრონომსა და სხვა სპეციალისტს, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები. **(ტაში).**

აი რას ნიშნავს მუშათა და გლეხთა ხელისუფლება. **(ხანგრძლივი ტაში).** საბჭოთა ხელისუფლებას მხოლოდ ერთი საზრუნავი აქვს, ხალხთა კეთილდღეობისა და აყვავებისათვის ზრუნვა. **(მქუხარე ტაში).**

მე მინდა, რომ სწორად გამიგონ. პროპაგანდისათვის როდი ვამბობ ყოველივე ამას, მე მხოლოდ ფაქტები მომყავს.

საბჭოთა კავშირის მუშებმა და გლეხებმა, თავიანთ ხელში აიღეს რა ძალაუფლება, დიდი ლენინისა და მის მიერ დაარსებული კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შექმნეს სოციალისტური სახელმწიფო, რომლის არსებობა მთელი კაპიტალისტური სამყაროს გამოწვევაა. **(მქუხარე ტაში).** და მათ დაამტკიცეს, რომ ჩვენი საბჭოთა წყობილება ყველაზე პროგრესული წყობილებაა. საბჭოთა კავშირში აშენებული სოციალიზმი ყველაზე უკეთესი საზოგადოებაა, კაცობრიობის დიდი მიღწევაა. **(მქუხარე ტაში).**

ხანდახან მეუბნებიან, რომ მე ძალიან ხშირად ვამტკიცებ იმ აზრს, რომ სოციალიზმი გაიმარჯვებს, აჯობებს კაპიტალიზმს.

დიახ, მე სავსებით დარწმუნებული ვარ ამაში. ჩვენ ყველანი, საბჭოთა ადამიანები, დარწმუნებული ვართ, რომ ორი სისტემის მშვიდობიან შეჯიბრებაში სოციალისტური სისტემა გაიმარჯვებს. და სანამ მკერდში გული გვიცემს, ჩვენ უარს არ ვიტყვით ჩვენს მოძღვრებაზე, იმიტომ რომ იგი სწორი, პროგრესული მოძღვრებაა.

კაპიტალისტური წყობილების დღეები დათვლილია. **(ხანგრძლივი ტაში).** როგორც ცოცხალ ორგანიზმში განუწყვეტლივ ახლდებიან უჯრედები — როგორც ძველი უჯრედები კვდებიან, ხოლო ახლები იბადებიან, ასევე საზოგადოებაში კვდებიან ძველი ფორმები და იბადებიან ახალი, უფრო პროგრესული, მოწინავე ფორმები. **(ხანგრძლივი ტაში).** ასეთი ახალი, ფორმაა სოციალისტური წყობილება, კომუნისტური საზოგადოება, რომლისაკენ წარმატებით მიდიან ჩვენი ქვეყნის ხალხები. **(ტაში).**

ჩვენ კომუნიზმისაკენ მივდივართ უომრად. ჩვენთვის ომი საჭირო არ არის, იგი ვნებს ჩვენს საქმეს. **(ხანგრძლივი ტაში).** იდეების განვითარება არ შეიძლება ძალით შევაჩეროთ, ისევე როგორც მათი გავრცელება ძალის დახმარებით არ შეიძლება.

ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ თვით ხალხმა უნდა შექმნას თავისი სახელმწიფოებრივი წყობილება, რომელიც ამ ხალხს სურს.

საბჭოთა ხალხი, რომელმაც სოციალისტური საზოგადოება შექმნა, მტკიცედ დარწმუნებულია, რომ სოციალისტური წყობილება გაიმარჯვებს კაპიტალიზმის დრომოჭმულ წყობილებაზე. და ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, სიხარულით ვშრომობთ ამისათვის, იმიტომ რომ ეს კეთილშობილური შრომაა.

ჩვენო ახალგაზრდა მეგობრებო! პროფესორებო და მასწავლებლებო! გისურვებთ წარმატებას მეცნიერების დაუფლებასა და განვითარებაში. მეცნიერებას მაშინ მოაქვს სარგებლობა ხალხისა და სახელმწიფოსათვის, როცა იგი ემსახურება ხალხს, ემსახურება თავის სახელმწიფოს. ამიტომ ინტელიგენციას განუყოფელი კავშირი უნდა ჰქონდეს ხალხთან. მეტი იქნება ხალხის პატივისცემა თქვენდამი. და მაშინ ხალხის დახმარებით თქვენი მეცნიერება უაღრესად განვითარდება.

გთხოვთ მაპატიოთ, რომ, შესაძლოა, მე ვთქვი არა ის, რაც თქვენ გსურდათ მოგესმინათ. მაგრამ მე, ისევე როგორც ჩემს მეგობარს ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინს, მაქვს უაღრესად გულწრფელი სურვილი თქვენთვის

(დასასრული მე-2 გვერდზე)

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ბირმის მეგობრობასა და თანამშრომლობას!

ბირმის კავშირის მთავრობის მიწვევით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი 1955 წლის 1-დან 7 დეკემბრამდე კეთილი ნების ვიზიტით იყვნენ ბირმის კავშირში.

საბჭოთა ქვეყნისადმი ბირმელი ხალხის კეთილ გრძნობებს, რაც ესოდენ ნათლად გამოვლინდა ბირმაში საბჭოთა ხელმძღვანელების ყოფნის დროს, ღრმა საფუძველი აქვს. ჩვენმა ბირმელმა მეგობრებმა იციან, რომ საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, თავის ხელში აიღო რა ძალაუფლება, აააშენა ძლიერი სოციალისტური სახელმწიფო. საბჭოთა წყობილება ყველაზე პროგრესული წყობილებაა. საბჭოთა კავშირში აშენებული სოციალიზმი ყველაზე უკეთესი საზოგადოებაა, კაცობრიობის დიადი მიღწევაა.

საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვება სხვა ხალხთა შთაგონების წყაროა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხთა დაუძლეველი მისწრაფება დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისადმი ჩვენი დროის ნიშანი გახდა. იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა ინგრევა, მიუხედავად კოლონიზატორთა თავგამოდებული მეცადინეობისა შეინარჩუნონ თავიანთი ბატონობა. კოლონიზატორთა დრო წავიდა. აზიის ხალხები მტკიცედ ჰკიდებენ ხელს თავიანთი ცხოვრების მშენებლობას ისე, როგორც ეს მათ უნდათ.

სწორედ ამიტომ კოლონიზატორებს არ მოსწონთ, რომ საბჭოთა კავშირი ახლა უაღრესად მეგობრულ ურთიერთობას ამყარებს ინდოეთის, ბირმისა და სხვა ქვეყნების ხალხებთან, რომ აღარაფერი ვთქვათ საბჭოთა ხალხის დიდ მეგობარსა და ძმაზე — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაზე, რომელთანაც ახლა ჩვენ სამუდამოდ დაკავშირებული ვართ უაღრესად მტკიცე, უაღრესად გულითადი და უანგარო ძმური მეგობრობით.

ამხანაგების ბულგანინისა და ხრუშჩოვის მგზავრობამ ბირმაში ერთხელ კიდევ დაადასტურა საბჭოთა და ბირმელი ხალხების ურდვევი მისწრაფება მეგობრობის, მშვიდობისა და თანამშრომლობისადმი.

1955 წლის 6 დეკემბერს ბირმის კავშირის დედაქალაქ რანგუნში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას.

„ჩვენი ერთობლივი განცხადება, — თქვა ნ. ა. ბულგანინმა რანგუნიდან გამგზავრებისას, — მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც ნიშნავს ახალ საფეხურს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში. ეს დოკუმენტი უთუოდ შეუწყობს ხელს როგორც აზიაში, ისე მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეს“.

საბჭოთა კავშირ-ბირმის ერთობლივ განცხადებაში კვლავ გამოთქმულია საბჭოთა კავშირისა და ბირმის კავშირის მისწრაფება განავითარონ და განამტკიცონ თავიანთი ურთიერთობა იმ ურყევ პრინციპებზე, როგორიც არის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემა, თავდაუსხმელობა, ერთიმეორის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, თანასწორობა და ურთიერთსარგებლობა, მშვიდობიანი თანაარსებობა და ეკონომიური თანამშრომლობა.

ორივე ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეებმა რწმენა გამოთქვეს, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის ამ პრინციპების სულ უფრო მზარდი გამოყენება სახელმწიფოების — დიდი და პატარა სახელმწიფოების — ურთიერთობაში ხამსახურს გაუწევს მშვიდობის განმტკიცებას და ხალხთა კეთილნაყოფიერი თანამშრომლობის განვითარებას.

სსრ კავშირისა და ბირმის ხელმძღვანელთა ერთობლივ განცხადებაში გამოთქმულია გადაწყვეტილება განახორციელონ ყოველგვარი ღონისძიებანი, რათა განავითარონ და განამტკიცონ ორივე ქვეყანას შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობა ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგებში. სსრ კავშირისა და ბირმის მეგობრული თანამშრომლობის მკაფიო გამოხატულებაა კომუნიკე „საბჭოთა კავშირ-ბირმის ეკონომიური ურთიერთობისათვის“, რომელიც დღეს „პრავდაში“ ქვეყნდება.

სსრ კავშირისა და ბირმის ხალხები ერთსულოვნად ისწრაფვიან შეინარჩუნონ და განამტკიცონ მშვიდობა. როგორც ერთობლივი განცხადება გვიჩვენებს, საბჭოთა კავშირისა და ბირმის კავშირის ხელმძღვანელებმა სრულ თანხმობას მიაღწიეს იმაზე, რომ დაძაბულობის შენელება, რის მიღწევაც უკვე მოხერხდა, უნდა განმტკიცდეს, რომ უნდა განხორციელდეს ღონისძიებანი საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის.

ორივე ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეებმა ერთობლივ განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ისწრაფვიან უთუოდ აიკრძალოს ატომგუნია და თერმოატომგუნის იარაღის წარმოება, გამოცდა და გამოყენება, არსებითად შემცირდეს ჩვეულებრივი შეიარაღება, აგრეთვე დაწესდეს ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლი ამ ღონისძიებათა განხორციელებისადმი.

საბჭოთა, ბირმელ და დედამიწის ყველა სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხებს სძულთ სამხედრო ბლოკები და დაჯგუფებანი, რომლებიც ახალი ომის საფრთხეს შეიცავენ. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა კავშირ-ბირმის ერთობლივი განცხადების ამ ადგილს, სადაც გადაჭრით დაგმობილია სამხედრო ბლოკების შექმნის პოლიტიკა.

საბჭოთა კავშირსა და ბირმის კავშირს მიაჩნიათ, რომ დაუყოვნებლივ უნდა გადაიჭრას ინდოჩინეთის პოლიტიკური მოწესრიგების პრობლემა, კორეის გაერთიანების საკითხი, აგრეთვე ის საკითხი, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას დაუბრუნდეს ტაივანი და სხვა კუნძულები, რომლებიც ჩინეთის ძველთაძველი ტერიტორიაა. უეჭველია, დაუყოვნებლივ გადაჭრა ამ პრობლემებისა, რომლებიც აზიის ხალხებს დიდად აღელვებს, ხელს შეუწყობს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას.

განუზომლად გაიზარდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საერთაშორისო პრესტიჟი. მაგრამ აზიის ამ ძლიერ სახელმწიფოს დღემდე უშლიან ხელს დაიკავოს თავისი კანონიერი ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. საბჭოთა კავშირისა და ბირმის ხელმძღვანელებმა ერთობლივ განცხადებაში მოითხოვეს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას აღუდგინონ კანონიერი უფლებები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ნ. ა. ბულგანინმა, ნ. ს. ხრუშჩოვმა და უ ნუმ განაცხადეს, რომ მათ მიაჩნიათ, რომ ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა და ნდობის განმტკიცების ეფექტიანი გზაა პირადი კონტაქტების დამყარება და მოლაპარაკება ხელმძღვანელებს შორის, რასაც მოჰყვება თვით ხალხებს შორის შეთანხმებისა და მეგობრული ურთიერთობის მიღწევა.

ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობა მიესალმება ამხანაგების ხრუშჩოვისა და ბულგანინის ვიზიტს აზიის ქვეყნებში და მხურვალედ იწონებს საბჭოთა კავშირ-ბირმის ერთობლივ განცხადებას, მიაჩნია რა იგი დიდმნიშვნელოვან წვლილად მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში, საერთაშორისო თანამშრომლობის გაუმჯობესების საქმეში.

მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოთა გარკვეული წრეები, რომლებიც შეეჩვივნენ მიაჩნდეთ აზიის ხალხები „დაბალ რასად“, რომელსაც თავისთავადი, დამოუკიდებელი განვითარების უნარი არ შესწევს, გაბოროტებითა და შეშფოთებით შეხვდნენ ამხანაგების ხრუშჩოვისა და ბულგანინის მგზავრობას ინდოეთსა და ბირმაში. ინგლისისა და ამერიკის რეაქციული პრესა მძვინვარედ ცდილობს დაამახინჯოს ფაქტები, მოატყუოს საზოგადოებრივი აზრი.

„დიახ, — განაცხადა ნ. ს. ხრუშჩოვმა პოლიტიკურ მიტინგზე რანგუნში 6 დეკემბერს, — ზოგ ვინმეს არ მოსწონს, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ ქვეყნებს, რომლებმაც თავი დააღწიეს კოლონიურ ჩაგვრას და ახლა მიდიან წინ თვითეული თავისი გზით. ჩვენ მუდამ ვუჭერდით მხარს ამ ქვეყნების ხალხთა მისწრაფებას თავიანთი ეროვნული განთავისუფლებისადმი, და ჩვენ გულწრფელად გვახარებს, რომ მათ არა მარტო მოიპოვეს პოლიტიკური თავისუფლება, არამედ აგრეთვე წინ მიდიან ახალი გზით, თუმცა უს არ მოსწონს ზოგ ვინმეს ინგლისში, საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში“.

მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების მტრებს, კოლონიზატორების ვერავითარი გამოხდომა და გაბოროტებული სისინი ვერ შეუშლის ხელს საბჭოთა, ჩინელი, ინდოელი, ბირმელი და დედამიწის სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხების მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებას.

ჩვენ ამხანაგები ვართ ერთობლივ ბრძოლაში მშვიდობისა და მეგობრობის ინტერესებისათვის.

გაუმარჯოს და აყვავდეს ბირმისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა!

გაუმარჯოს ყველა ქვეყნის ხალხთა მეგობრობას — მშვიდობის განმტკიცების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს!

„პრავდის“ 8/XII მოწინავე.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ვ. ვ. სერიკოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ამხ. ვ. ვ. სერიკოვის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავის გამო და რევოლუციურ მოძრაობაში მისი მონაწილეობის აღსანიშნავად ამხ. ვალენტინ ვასილის-ძე **სერიკოვი** დაჯილდოებ

ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ბირმაში

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის დასასრული

— ჩვენ გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს. და ეს მარტო ჩვენი სურვილი როდია. საბჭოთა ხალხი მზად არის გაგიზიაროთ თავისი გამოცდილება, თავისი ცოდნა. (ხანგრძლივი ტაში). რაც უფრო ფართოდ გავუზიარებთ ერთმანეთს მეცნიერულ ცოდნას, რაც უფრო ფართო იქნება კულტურული ურთიერთობა, რაც უფრო მეტად გადავცემთ ერთმანეთს საინჟინრო გამოცდილებას, მით უფრო კარგად და უფრო მეგობრულად იცხოვრებენ ჩვენი ქვეყნების ხალხები. ჩვენ გულწრფელად გვსურს ხელი შევუწყოთ თქვენს ეკონომიურ განვითარებას, გაგიზიაროთ ცოდნა და გამოცდილება, რომელიც შეძენილი გვაქვს.

კარგი იქნება, თუ თქვენი პროფესორები, ინჟინრები, სტუდენტები უფრო ხშირად ჩამოვლენენ სსრ კავშირში. (ხანგრძლივი ტაში). ჩვენ მათ მივიღებთ, როგორც მეგობრებს. ჩვენ გვსურს, რომ თქვენ თვითონ ნახოთ, თუ რას მიაღწია ჩვენმა ხალხმა, როგორ ცხოვრობს და შრომობს ჩვენი ინტელიგენცია, როგორ ცხოვრობენ და ეუფლებიან ცოდნას ჩვენი სტუდენტები. ხალხს ხომ სურს არა მარტო ისმენდეს, არამედ მას სურს ნახოს ის, რასაც ისმენს. მას სურს ხელით მოსინჯოს, რისგან არის ეს გაკეთებული. (**გამოცოცხლება დარბაზში**).

ჩამოდით ჩვენში, ნახეთ ჩვენი ხალხი, ხელით მოსინჯეთ ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ. და რაც მოგეწონებათ, — წაიღეთ, გადაიღეთ, ხოლო რაც არ მოგეწონებათ — იმას როდი მოგახვევთ თავს. სწორედ ეს არის მშვიდობიანი თანაარსებობა. თვითეული ცხოვრობს ისე, როგორც მას სურს, ერთი მეორეს ძალით თავს არაფერს ახვევს.

ჩვენ ძალიან კარგად შევეწყვეთ თქვენს სახელმწიფოს, თქვენს მთავრობას მშვიდობისათვის ბრძოლაში. მაშ გავაძლიეროთ ჩვენი ურთიერთობა ამ საქმეში, კიდევ უფრო აქტიურად ვიბრძოლოთ მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში.

გაუმარჯოს ბირმის სტუდენტ ახალგაზრდობას! გაუმარჯოს ბირმის ახალგაზრდა ინტელიგენციას, რომელიც იძენს ცოდნას და გამოცდილებას თავისი ქვეყნის განვითარების სასარგებლოდ, თავისი ხალხის სასარგებლოდ! გაუმარჯოს სტუდენტ ქალიშვილებს, რომლებიც ჯერ კიდევ ცოტანი არიან თქვენში, მაგრამ რომლებიც, იმედი გვაქვს, სულ უფრო მეტი იქნებიან. ქალებს ხომ დიდი ადგილი უკავიათ საზოგადოებაში. ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ საზოგადოების ცხოვრებაში და მნიშვნელოვანწილად ზრდიან მომავალ თაობას. (ტაში). თუ მათ დავეხმარებით სწავლაში დღეს, ხვალ ეს ცოდნა გამრავლდება ბავშვებში, მოზარდ თაობაში. (ხანგრძლივი ტაში).

გაუმარჯოს რანგუნის უნივერსიტეტის პროფესორებსა და მასწავლებლებს, რომლებიც თავიანთ ძალღონეს არ იშურებენ და თქვენი, სტუდენტების, მეშვეობით თავიანთ ცოდნას აძლევენ მშობლიურ ხალხს! (ხანგრძლივი ტაში).

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ბირმის ხალხების მეგობრობას! (ხანგრძლივი ტაში). გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში! (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, დამსწრენი ფეხზე დგებიან და მხურვალე ოვაციით მიესალმებიან ამხანაგებს ნ. ს. ხრუშჩოვსა და ნ. ა. ბულგანინს**).

• • •

ცოტა ხნის შემდეგ ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი დაესწრნენ მარულას რანგუნის იპოდრომზე, სადაც მიმდინარეობდა „პრემიერ-მინისტრ ბულგანინის სახელობის ოქროს თასისა“ და „ამხანაგ ხრუშჩოვის სახელობის ოქროს თასის“ გათამაშება.

დღის მეორე ნახევარში ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ოყვნენ აუნგ სანის სახელობის სტადიონზე, სადაც მიმდინარეობდა შეჯიბრება ფეხბურთში საბჭოთა კავშირის „ლოკომოტივის“ გუნდსა (მოსკოვი) და ბირმის ნაკრებ გუნდს შორის. შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 7:1 „ლოკომოტივის“ სასარგებლოდ.

ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ბირმიდან ინდოეთში დაბრუნდნენ

ასანსოლი, 7 დეკემბერი. (**საკუთარი სპეც. კორ.**). დღისით 7 დეკემბერს ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ბირმის კავშირში ექვსი დღის ყოფნის შემდეგ დაბრუნდნენ ინდოეთში. თვითმფრინავმა, რომელიც დილით გაფრინდა რანგუნიდან, გადაუარა ბენგალიის ყურეს და ინდოეთის დიდი მდინარეების ჯუნგლით შემოსილ დელტას და, გასცილდა რა კალკუტას, ჩამოიყვანა სტუმრები ასანსოლში, ახალი ინდოეთის ინდუსტრიული გულის — მდინარე დამოდარის ველის ერთ-ერთ ცენტრში.

ამ ველზე, რომელიც გადაჭიმულია კალკუტის დასავლეთით დასავლეთ ბენგალიისა და ბიჰარის შტატების ტერიტორიაზე, მას შემდეგ, რაც ინდოეთმა მოიპოვა დამოუკიდებლობა, გაჩაღდა ფართო ჰიდროენერგეტიკული და საირიგაციო მშენებლობა, რომლის მიზანია აღაგვა მდინარე დამოდარის წყლისა, რომელიც სისტემატურად ატბორებდა ამ რაიონს, და მისი გამოყენება დასავლეთ ბენგალიის ნაყოფიერი მიწების მორწყვის მოსაგვარებლად. ამავე დროს მდინარე დამოდარის ზემოწელში ბიჰარის შტატის ტერიტორიაზე კაშხალების მშენებლობა შეხამებულია ჰიდროელექტროცენტრალების მშენებლობასთან, რომლებმაც ენერგიით უნდა მოამარაგონ ამ რაიონის მზარდი მრეწველობა, სადაც თავმოყრილია ინდოეთის მთამადნეულის — ქვანახშირის, რკინისა და მარგანეცის მადნის, ბოქსიტების, ფერადი ლითონების, ქარსის, ცეცხლგამძლე თიხისა და სხვ. გამოკვლეული მარაგის მეტი ნაწილი. ამ რაიონში მთელ ჰიდროტექნიკურ მშენებლობას ახორციელებს დამოდარის ველის სახელმწიფო კორპორაცია, რომელიც 1948 წელს შეიქმნა ინდოეთის მთავრობისა და დასავლეთ ბენგალიისა და ბიჰარის შტატების მთავრობათა გადაწყვეტილებით, რაც მოიწონა პარლამენტმა.

ასანსოლის აეროდრომზე ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს მოუწყეს საზეიმო შეხვედრა. აქ ჩამოვიდნენ ინდოეთის მთავრობის წარმომადგენელი მრეწველობის მინისტრი ნ. კანუნგო და დასავლეთ ბენგალიის შტატის მაღალი თანამდებობის ოფიციალური პირები მთავარი მინისტრის როის მეთაურობით. აეროდრომის ახლოს შეიკრიბა მდინარე დამოდარის ველის მრავალი ათასი მშრომელი, რომლებიც მხურვალედ მიესალმნენ საბჭოთა სტუმრებს. პირდაპირ აეროდრომიდან ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ავტომობილებით წავიდნენ ჩიტარაჯანში, სადაც არის ინდოეთის უდიდესი სახელმწიფო ორთქლმავალმშენებელი ქარხანა და მის მახლობლად — დამოდარის ველის უდიდესი კაშხალი, რომელიც ახლა შენდება, — მაიტჰონის კაშხალი მდინარე ბარაკარზე.

საბჭოთა კავშირ-ბირმის ეკონომიური ურთიერთობისათვის

ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ბირმის კავშირის თანამშრომლობის პრინციპების შესაბამისად, როგორც აღნიშნულია საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვისა და ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრის უ ნუს ერთობლივ განცხადებაში, მთავრობათა წარმომადგენლებმა განიხილეს ბირმის კავშირში სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ზოგიერთი სამრეწველო საწარმოს შექმნის პროგრამის საკითხები.

საბჭოთა კავშირის მთავრობა დათანხმდა ბირმის კავშირის მთავრობას გაუწიოს დახმარება და თანამშრომლობა სასოფლო-სამეურნეო განვითარების პროგრამის მომზადებაში, ძირითად საირიგაციო სამუშაოთა განხორციელებასა და ზოგიერთი სამრეწველო საწარმოს შექმნაში.

საბჭოთა კავშირის მთავრობა აგრეთვე დათანხმდა იმ მასალებისა და მომსახურების საფასურად, რომლებიც საჭირო იქნება შეთანხმებული პროექტების განხორციელებისათვის, მიიღოს ბრინჯის შესაძლებელი რაოდენობა, და თუ ეს რაოდენობა საკმაო არ იქნა, მისცეს გადასახდელის განაწილავადება ნატურით მთელი რიგი წლების განმავლობაში.

ბირმის კავშირის მთავრობა დიდად აფასებს საბჭოთა კავშირის მთავრობის ამ კეთილი ნების გამოვლინებას.

კეთილი ნებისა და ბირმის კავშირის ხალხისადმი პატივისცემის შემდგომი გამოვლინების ნიშნად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ნ. ს. ხრუშჩოვმა საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით საჩუქრად შესთავაზეს ბირმის კავშირის ხალხს რანგუნში სსრ კავშირის ძალებით და სახსრებით ააგონ და მოაწყონ ტექნოლოგიური ინსტიტუტი.

ბირმის კავშირის მთავრობა დიდად აფასებს მოტივებს, რომელთა საფუძველზე საბჭოთა მთავრობამ გააკეთა ეს წინადადება. მან ეს საჩუქარი მიიღო დიდი მადლობის გრძნობით.

ბირმის კავშირის ხალხის სახელით პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ თავის მხრივ საბჭოთა კავშირის ხალხს საჩუქრად სათანადო რაოდენობით შესთავაზა ბრინჯი და ბირმის წარმოების ზოგიერთი სხვა საქონელი. ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა საბჭოთა კავშირის ხალხის სახელით მადლობით მიიღეს ეს საჩუქარი.

თბილისის რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე

სტალინის რაიონი

საანგარიშო მოხსენება, რომლითაც რაიკომის მდივანი ვ. ჯავახიშვილი წარდგა სტალინის რაიონის პარტიულ კონფერენციაზე, დელეგატებმა გულდასმით მოისმინეს. მომხსენებელმა მოიყვანა მრავალრიცხოვანი ფაქტები, რომელთა ანალიზის საფუძველზე ნათლად, დამაჯერებლად დაახასიათა რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობა, აღნიშნა მიღწევები, ყურადღება გაამახვილა ნაკლოვანებებზე, მათ გამოსწორებაზე.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 18 ამხანაგმა. ორატორთა დიდი უმეტესობის სიტყვები საქმიანი, ცოცხალი და საინტერესო იყო. დამახასიათებელი მაგალითების მოყვანით ისინი ანალიზს უკეთებდნენ განვლილ მუშაობას, ამხილებდნენ ნაკლოვანებებს და საყურადღებო წინადადებებს აყენებდნენ მათ გამოსასწორებლად. კონფერენციის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს მაუდკამფოლის კომბინატის დირექტორის ნ. თუშიშვილის, კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის მოსაგის ვ. პავლოვის, საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივნის ბ. სალუქვაძის, მანქანათა ნაწილების ქარხნის ხარატის ვ. როკოტოვის, კომკავშირის რაიკომის მდივნის გ. გამცემლიძის და სხვა დელეგატების სიტყვები.

მაგრამ ასე როდი ითქმის ყველა დელეგატის გამოსვლაზე. რაიონის პროკურორმა ვ. ლეონიძემ დაულაგებლად ჩამოთვალა ხულიგნობის, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის, სპეკულაციის, ზომა-წონაში მომხმარებელთა მოტყუების ფაქტები, თანაც ბევრი ისეთი ფაქტი დასახელა, რომელიც 2-3 წლის წინათ მომხდარა, ამავე დროს ერთი სიტყვაც არ უთქვამს პროკურატურის, მისი მუშაკების საქმიანობაზე, იმაზე, თუ როგორ იბრძვიან ისინი ხულიგნობის, სპეკულაციისა და სხვა დანაშაულობათა წინააღმდეგ. იგრძნობოდა, რომ იგი კამათში გამოვიდა არა საქმის ინტერესებისათვის, არა რომელიმე ამაღლებული საკითხის საფუძვლიანად, ცოდნით გაშუქებისათვის, არამედ მოვალეობის მოხდის მიზნით, ფორმალურად.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროს საავტომობილო ტრანსპორტის ტრესტის უფროსი ა. ჭეჭინაძე კონფერენციაზე ისე გამოვიდა, თითქოს სამინისტროს კოლეგიაზე აკეთებდა მოხსენებას ტრესტის სამეურნეო საქმიანობის შესახებ. მას ერთი სიტყვაც არ უთქვამს ტრესტის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაზე, რაიკომის ხელმძღვანელობასა და დახმარებაზე, იმ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ტრესტს აქვს მუშაობაში.

შაბლონური და მოსაწყენი იყო განათლების განყოფილების გამგის ა. მეტრეველის სიტყვა, რომელიც მას წინასწარ დაეწერა და ისე სხაპასხუპით კითხულობდა, რომ ყურადღებას არ აქცევდა, თუ რა გავლენას ახდენდა დელეგატებზე ფაქტებისა და ციფრების უბრალო რეგისტრაცია, უსისტემოდ ჩამოთვლა. იმავ. მეტრეველმა 10 წუთის განმავლობაში ორიოდე სიტყვის თქმაც ვერ მოახერხა განათლების განყოფილების მუშაკების, სკოლების პედაგოგიური კოლექტივებისა და პარტიული ორგანიზაციების სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობაზე. კონფერენციის მონაწილეებმა მას რეგლამენტი გაუგრძელეს, ოღონდ იმ პირობით, რომ კონსპექტი ვერ ხდებ ვერ ბოლოდ ოთ ... ...

კონკრეტულად, საქმის ცოდნით ვუხელმძღვანელოთ სოფლის მეურნეობას

კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების—ოცდაათათასელების რესპუბლიკური თათბირი

მიმდინარე წლის გაზაფხულზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საჭიროდ ცნეს სუსტ, ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებად სოფლად გაეგზავნათ სულ მცირე 30 ათასი კაცი — მოხალისეები ქალაქებიდან, სამინისტროებიდან და უწყებებიდან, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებიდან, სამრეწველო საწარმოებიდან. ბევრი მოწინავე მუშა, სპეციალისტი, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკი, რომლებიც საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა 30 ათასის ანგარიშში შეარჩიეს, უკვე არჩეულია და მუშაობს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

გამოეხმაურნენ რა პარტიის მოწოდებას, ოცდაათათასელები წავიდნენ სოფლად მუდმივ საცხოვრებლად, სათავეში ჩაუდგნენ ჩამორჩენილ, თავმინებებულ კოლმეურნეობებს. პარტიის წარგზავნილები წარმოადგენენ საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზატორებს, იჩენენ ინიციატივას, გამჭრიახობას, უნარიანად რახმავენ კოლმეურნეებს სიძნელეთა გადასალახავად.

კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მუშაობის გამოცდილების შესწავლისა და განზოგადებისადმი იყო მიძღვნილი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მიერ 30 ნოემბერს მოწვეული ოცდაათათასელთა რესპუბლიკური თათბირი პარტიის რაიკომების პირველი მდივნების მონაწილეობით.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

მოხსენებით კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების — ოცდაათათასელების მუშაობის და ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების ამოცანების შესახებ გამოვიდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. მ. პ. გიორგაძე.

თავისი მოხსენების დასაწყისში ამხ. მ. პ. გიორგაძე ლაპარაკობს იმაზე, რომ, ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და იანვრის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის შესახებ, საქართველოს კოლმეურნეობებმა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიაღწიეს პირველ წარმატებებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების განვითარებაში, საზოგადოებრივი მეურნეობის უმდიდრესი რეზერვებისა და შესაძლებლობების გამოყენებაში.

მიმდინარე წელს გაიზარდა სიმინდის ნათესების ფართობი, მიღწეულია წარმატებანი ჩაის ფოთლის, ყურძნის, თამბაქოს, შაქრის ჭარხლის, ბრეშუმის პარკის და სხვ. მოსავლიანობის გაზრდებაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა უკანასკნელ დროს მეცხოველეობაში. განვლილ სამეურნეო წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 266 კილოგრამით მეტი რძე, ვიდრე შარშან; წველადობის წლიური გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული. რესპუბლიკის ყველა რაიონში გაადიდა წველადობა. 300 კილოგრამით გაადიდეს წველადობა გარეუბნის, წალკის, წითელწყაროს, მახარაძის, წალენჯიხის რაიონების კოლმეურნეობებმა.

ამ წარმატებათა მიღწევაში საკმაოდ დიდი როლი შეასრულა იმ გარემოებამ, რომ ეკონომიურად სუსტ კოლმეურნეობებს სათავეში ჩაუდგნენ გამოცდილი ხელმძღვანელები, ენერგიული და გამბედული ადამიანები.

საქართველოს კოლმეურნეობებში ახლა მუშაობს 274 ოცდაათათასელი. მათმა უმრავლესობამ დაამთავრა თბილისში მოწყობილი კურსები, გაეცნო საკოლმეურნეო წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის საკითხებს, გაიარა ორთვიანი სტაჟირება რესპუბლიკის მოწინავე მეურნეობებში. ბევრმა ოცდაათათასელმა კომუნისტებზე და უპარტიო აქტივზე დაყრდნობით მოკლე ხანში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია მუშაობაში.

მომხსენებელს მოჰყავს ბევრი მუშევრმეტყველური მაგალითი, რომლებიც მოწმობენ, რომ წინათ ჩამორჩენილმა კოლმეურნეობებმა ოცდაათათასელთა ხელმძღვანელობით მიაღწიეს გარდატეხას მუშაობაში. მაგალითად, მას შემდეგ, რაც ხაშურის რაიონის სოფელ გომის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. პ. კუბლაშვილი, ამ არტელში ამაღლდა კოლმეურნეთა შრომითი აქტივობა, გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია; თავის დროზე და მაღალხარისხოვნად დამუშავდა ნათესები, უკეთესად იყენებენ სარწყავ წყალს. კოლმეურნეობამ ჰექტარ სიმინდის ნათესზე მიიღო 37 ცენტნერი მარცვალი, მნიშვნელოვნად გადაჭარბა დავალებას შაქრის ჭარხლისა და ზოსტნეული კულტურების მოსავლიანობის დარგში. კარგი მოსავალი იქნა მიღებული ნაწვერალზე დათესილი სიმინდისაც.

სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის ყოფილი ლექტორი რ. ალბოროვი ახლა ხელმძღვანელობს სტალინირის რაიონის სოფელ სარაბუკის მიქიანის სახელობის კოლმეურნეობას. ამ კოლმეურნეობამ წელს პირველად გადაჭარბებით შეასრულა წველადობის დავალება, მიიღო შაქრის ჭარხლის უხვი მოსავალი.

იბრძვის რა საკოლმეურნეო წარმოების აღმავლობისათვის, სოფელ საგარეჯოს კ. მარქსის სახელობის არტელის ახალმა თავმჯდომარემ ვ. ბაკელიამ, წინათ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაკმა, მიაღწია იმას, რომ კოლმეურნეთა დიდი უმრავლესობა აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ შრომაში. აქ შემჭიდროებულ ვადებში აიღეს მოსავალი. ამხ. აბაკელიას ინიციატივით აგებულია საძროხე, შენდება ელექტროწისქვილი, სახბორე, ფარეხი. 20 ნოემბრისათვის კოლმეურნეობამ მთლიანად მოიხადა თავისი ვალი სახელმწიფოს წინაშე.

ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობა ლაგოდეხის რაიონში ყველაზე ჩამორჩენილად ითვლებოდა. არტელის ახალმა თავმჯდომარემ, წინათ ტრესტ „საქტყავფეხსაცმლის“ ინჟინერმა ზინაიდა შვილიუგამ თავისი მუშაობა დაიწყო იმით, რაც მთავარია, — ადამიანთა შესწავლით. კოლმეურნეებთან საუბრებმა, ადამიანებისადმი გულისხმიერმა მოპყრობამ მას ხელი შეუწყო გაეაქტივებინა ის მშრომელები, რომლებიც განზე ედგნენ საზოგადოებრივ მეურნეობაში მონაწილეობას. კოლმეურნეობა მტკიცე რწმენით იკრებს ძალებს, სძლევს ჩამორჩენას.

გარეუბნის რაიონის სოფელ ტაბახმელის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში ირღვეოდა შრომის დისციპლინა, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება. აქ წლითაწლობით დაბალ მოსავალს იღებდნენ.

კოლმეურნეებმა არტელის თავმჯდომარედ არჩიეს უნარიანი, საქმის კარგად მცოდნე მუშაკი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი დ. ცხომარია. ახლა აქ შესამჩნევი ძვრები მოხდა. მტკიცე საკვები ბაზის შექმნამ ხელი შეუწყო პირუტყვის პროდუქტიულობის მკვეთრად გადიდებას.

კარგად დაიწყო მუშაობა ქუთაისის რაიონის სოფელ ქვედა სიმონეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. გუჩესაშვილმა, რომელიც მანამდე ქუთაისის საავტომობილო ქარხნის დირექტორის მოადგილე იყო კადრების დარგში. მისი წინადადებით მოეწყო შექანიზებული წისქვილი, აგებულ იქნა 500 ტონის ტევადობის სასილოსე კოშკები, გაყვანილია წყალი მერძეების სასაძოლო ფერმაში, ფერმასთან შენდება საკვების შესამზადებელი საამქრო. არტელში საგრძნობლად განმტკიცდა შრომის დისციპლინა. თუ 1954 წელს ყოველდღე სამუშაოზე საშუალოდ 150 კოლმეურნე გამოდიოდა, ახალი თავმჯდომარის არჩევის შემდეგ ეს ციფრი გაზარდა 240-მდე; შრომადღის ღირებულება გაიზარდა სამჯერ.

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ მუშაობენ ოცდაათათასელი თავმჯდომარეები ამხანაგები: შ. შავიშვილი (ქობულეთის რაიონი). ს. ოგანესიანი (ახალქალაქის რაიონი), ა. კოკილაშვილი (თელავის რაიონი), ხ. რაზმაძე და ვ. წიკლაური (ქარელის რაიონი), ი. წერეთელი (მცხეთის რაიონი), მ. წიქარიძე (ბორის რაიონი), ჯ. შარიქაძე (ორჯონიკიძის რაიონი), რომლებმაც მხურვალედ, სულით და გულით მოჰკიდეს ხელი მუშაობას.

— სამწუხაროდ, — აღნიშნავს ამხ. მ. პ. გიორგაძე, — კოლმეურნეობების თავმჯდომარეებად არჩეული ყველა კომუნისტი როდი მუშაობს კარგად. გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, პარტიის გარეუბნის რაიკომის ყოფილი ინსტრუქტორი აგრონომი ა. სომხიშვილი კარგად ვერ ართმევს თავს საქმეს. თავმჯდომარედ მისი არჩევის შემდეგ არტელში მდგომარეობა გაუარესდა. შრომის ორგანიზაცია კვლავ მოუგვარებელია, დისციპლინა დაეცა. ამით უნდა აიხსნას ის, რომ თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა კოლმეურნეობაში წელს რამდენჯერმე შემცირდა გასული წლის მოსავლიანობასთან შედარებით. ცუდად მუშაობს ბოლნისის რაიონის სოფელ წითელი სოფლის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ე. კლაუ, რისთვისაც იგი სამართლიანად გააკრიტიკეს რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე. ა. გასპარიანი, რომელიც არჩეული იყო სოხუმის რაიონის სოფელ ეშერის ჯანაშიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, შეუშინდა სიძნელეებს და დატოვა კოლმეურნეობა.

ამთავრებს რა თავის მოხსენებას, ამხ. მ. პ. გიორგაძე გამოთქვამს რწმენას, რომ ოცდაათათასელები, მთლიანად გამოიყენებენ რა არსებულ რეზერვებს, გადაჭრიან მათ წინაშე დასახულ პასუხსაგებ ამოცანებს.

იწყება კამათი მოხსენების გამო. ტრიბუნაზე ზედიზედ ადიან პარტიის წარგზავნილები სოფლად. ისინი ლაპარაკობენ მუშაობაში გადადგმულ პირველ ნაბიჯებზე, თავიანთ გამოცდილებაზე.

— მე მუშაობა დავიწყე კოლმეურნეობის ეკონომიკის შესწავლით, — ამბობს კასპის რაიონის სოფელ აღაიანის კალინინის სახელობის არტელის თავმჯდომარე ს. ნათელაშვილი. — შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებამ ჩვენს არტელს საშუალება მისცა საშემოდგომო თესვა დაემთავრებინა ერთი თვით ადრე გასულ წელთან შედარებით, დროზე და უდანაკარგოდ აეღო ყურძნისა და შაქრის ჭარხლის მოსავალი. მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობამ ვერ დაძლია ჩამორჩენა. ჩვენ ვერ შევასრულეთ წველადობის

კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების — ოცდაათათასელების რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა ჯგუფი. პირველ რიგში (მარცხნიდან) — დ. ჭანტურიშვილი (ლანჩხუთის რაიონის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობა), შ. მაყაშვილი (ყვარლის რაიონის ძველაძის სახელობის კოლმეურნეობა); მეორე რიგში — თ. საპაროვი (ახმეტის რაიონის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობა), ბ. კოკოევი (ჯავის რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობა), ს. ოგანესიანი (ახალქალაქის რაიონის კოლმეურნეობა „კომკავშირელი“), შ. ავალიანი (დმანისის რაიონის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობა), თ. წულაძე (სამტრედიის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა), ა. ზელიონი (გუდაუთის რაიონის ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობა), ბ. ბარხუდარიანი (მარნეულის რაიონის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობა) და ვ. ბელქანია (ყაჩრეთის რაიონის სოფელ ბოგდანოვკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა).

ფოტო ვ. ჩერკასოვის და გ. სანდაძისა.

კოლმეურნეობის გამგეობამ პარტიული ორგანიზაციისა და აქტივის დახმარებით განუმარტა კოლმეურნეებს, თუ რა გზით ვფიქრობთ მეურნეობის ყველა დარგის წამოწევას, ამისთვის რა უნდა გააკეთოს თვითეულმა. ჩვენი ყურადღებით ვისმენდით კოლმეურნეთა აზრსა და რჩევას.

ჩვენი კოლმეურნეობის ტერიტორიაზე არსებული წყლის რესურსების მიზანშეწონილად გამოყენებით შეიძლება მნიშვნელოვნად გავადიდოთ ბოსტნეული, ბაღებისა და მინდვრების მოსავლიანობა. ამ მიზნით შეიქმნება გუბურები, რომლებიც რწყვის გარდა გამოყენებული იქნება წყალმცურავი ფრინველისა და თევზის მოსაშენებლად.

შემდეგ ამხ. ცხომარიამ თათბირის მონაწილეებს გააცნო სოფელ ტაბახმელის კეთილმოწყობის გეგმა.

საარტელო მეურნეობის რეზერვების გამოყენებაში პირველ ნაბიჯებზე ილაპარაკა ახმეტის რაიონის სოფელ ჯოყოლოს შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ თ. საპაროვმა.

— ჩვენს კოლმეურნეობას, — ამბობს იგი, — 1.500 ჰექტარზე მეტი მიწა აქვს. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ იგი სავსებით რაციონალურად იყო გამოყენებული. ჩვენ შეგვიძლია გავაშენოთ ახალი ვენახები, ბაღები. მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად ვაუმჯობესებთ საძოვრების მდგომარეობას. გადაწყვეტილი გვაქვს საზამთრო საძოვრების ნაწილი ავითვისოთ საშემოდგომო კულტურების დასათესად, რათა გავადიდოთ საფურაჟე მარცვლეულის მარაგი.

ამას წინათ კოლმეურნეობის გამგეობის სხდომაზე განვიხილეთ არტელში მეცხოველეობის განვითარების საკითხები და განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ მეღორეობას. კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს მოაწყონ მეღორეობის ფერმა. ღორის ხორცის წარმოება მნიშვნელოვნად გაზრდის კოლმეურნეობის ფულად შემოსავალს.

ამხ. საპაროვს მიაჩნია, რომ ჩამორჩენილი კოლმეურნეობები უპირატესობით უნდა სარგებლობდნენ ავტომანქანების შეძენაში. პირველ ხანებში ასეთი კოლმეურნეობებისათვის ძნელია მათი ყიდვა. საჭიროა მოვიფიქროთ, ხომ არ შეიძლება, რომ ეკონომიურად სუსტ კოლმეურნეობებს დახმარების წესით გადაეცეთ ან მიეყიდოთ ნახმარი ავტომანქანები, რომლებიც სამრეწველო საწარმოებს ეკუთვნით.

კოლმეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხებს მიუძღვნა თავისი სიტყვა კაჩრეთის რაიონის სოფელ ბოგდანოვკის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის თავმჯდომარემ ვ. ბელქანიამ.

— ჩვენი კოლმეურნეობა, — ამბობს იგი, — წლითიწლობით მეტად დაბალ მოსავალს იღებდა, მცირე იყო პირუტყვის პროდუქტიულობა. კოლმეურნეობას კი ნოყიერი მიწა აქვს, კარგი ადამიანები ჰყავს.

რით დავიწყოთ? ასეთი კითხვა დამებადა, როცა მეურნეობას გავეცანი. გაძგეობამ პარტორგანიზაციასთან ერთად გადაწყვიტა განემტკიცებინა შრომის დისციპლინა, ბრიგადირებად შეერჩია უნარიანი და ავტორიტეტიანი ხელმძღვანელები. ბრიგადირებს შორის ისეთებიც იყვნენ, რომლებსაც გული არ შესტკიოდათ საზოგადოებრივი მეურნეობის ბედისათვის. გამგეობის დადგენილებით ზოგიერთი მათგანი შევცვალეთ.

კრებამ, რომელზეც მე თავმჯდომარედ ამირჩიეს, გამოიტანა დადგენილება ორი საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტის შესახებ: გამოგვეყვანა სოფელში წყალსადენი და შეგვეკეთებინა სასოფლო გზა. ორივე საკითხი სწრაფად გადაწყდა. მოკლე ხანში ჩვენ შევძელით აგვეშალღებინა შრომის დისციპლინა. გამგეობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ ზარმაცებს წინააღმდეგ შექმნეს საზოგადოებრივი გაკიცხვის ატმოსფერო. ახლა ყველანი მუშაობენ.

ყოველივე ამან შესაძლებლობა მოგვცა გაგვიდიდებინა შრომადღის ღირებულება. შრომადღეზე ავანსად გავეცით სამი კილოგრამი ხორბალი, ერთი კილოგრამი სიმინდი, 600 გრამი მზესუმზირა.

თავისი გამოსვლის დასასრულს ამხ. ბელქანიამ პრეტენზია წაუყენა საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს, რომელიც ცუდად ეხმარება კოლმეურნეობას სარწყავი წყლის გამოყენების საქმეში.

კოლმეურნეობა „კომკავშირელი“ დიდხანს ყველაზე ჩამორჩენილ მეურნეობად ითვლებოდა ახალქალაქის რაიონში. მას შემდეგ, რაც ამ არტელის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ხ. ოგანესიანი, მდგომარეობა აქ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. არტელმა წელს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები გაცილებით უკეთ ჩაატარა. გადიდდა პირუტყვის პროდუქტიულობა. ამხ. ოგანესიანმა მოუთხრო შეკრებილთ, რომ კოლმეურნეობამ წელს ხელი მოჰკიდა მეფუტკრეობის განვითარებას და ზღვის დონიდან 2.000 მეტრ სიმაღლეზე პამიდორის კარგი მოსავალი მიიღო. ექვს თვეში ახალი თავმჯდომარის ინიციატივით კოლმეურნეობა „კომკავშირელში“ აშენდა სკოლა, კარტოფილის შესანახი საწყობი, სილოსსაცავები, ფარეხები, სახბორე.

იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც ახორციელებს თელავის რაიონის სოფელ კონდოლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობა ჩამორჩენის დაძლევის მიზნით, ილაპარაკა თათბირზე კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. კოკილაშვილმა.

— ჩვენი პირველი ნაბიჯები იყო, — თქვა მან, — ორგანიზატორული მუშაობა ადამიანებთან, კადრების შესწავლა, შრომის სწორი ორგანიზაცია ბრიგადებსა და რგოლებში. ჩვენი კოლმეურნეობა, რომელსაც საუცხოო სახნავ-სათესი ნიწები და მრავალწლიანი ნარგავები აქვს და რომელშიც 800-ზე მეტი მეურნეობა ითვლება, მთელი რიგი წლების მანძილზე ჩამორჩენილი იყო სწორედ შრომითი რესურსების არასაკმაოდ გამოყენების გამო.

პარტორგანიზაციასთან ერთად არტელის გამგეობამ შეისწავლა კოლმეურნეობის შრომითი რეზერვები. ფართო აქტივზე დაყრდნობით ჩვენ მივაღწიეთ ერთგვარ წარმატებებს საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებაში.

კოლმეურნეობაში დიდ ძალას წარმოადგენს სოფლის ახალგაზრდობა. წინათ ყველა ჭაბუკი და ქალიშვილი როდი იღებდა შრომითს მონაწილეობას საზოგადოებრივ მეურნეობაში. ამჟამად 200-მდე ახალგაზრდა აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ შრომაში. ამას ხელი შეუწყო იმან, რომ ჩვენ ბევრი ჭაბუკი მოვაწყეთ საღამოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. კოლმეურნეობას თავისი მანქანებით გადაჰყავს მოსწავლენი რაიონულ ცენტრში, რომელიც სოფლიდან შორს არ არის. კოლმეურნეობის გამგეობა ეხმარება ახალგაზრდობას უმაღლესი განათლების მიღებაში.

ინტერესით მოისმინეს ოჩამჩირის რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის გ. ივანიდისის გამოსვლა. მან გააცნო დამსწრეთ კოლმეურნეობის ზოგიერთი წარმატება საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებაში. კოლმეურნეობამ, რომელიც წინათ ჩამორჩენილი იყო, გადაჭარბებით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა, დროულად აიღო სიმინდის მოსავალი, მისცა კოლმეურნეებს ავანსი.

ამხ. ივანიდისი აყენებს ზოგიერთი პრაქტიკულ საკითხს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეობებისათვის.

— ჩვენს კოლმეურნეობაში, და რაიონის ზოგიერთ სხვა მეურნეობაშიც, — ამბობს იგი, — ექსპლოატაციაში გაცილებით ნაკლები ჩაის პლანტაციებია, ვიდრე ირიცხება. დროა წესრიგი დავამყაროთ ამ საქმეში.

— მიუხედავად იმისა, რომ უკვე წელიწადია მომქმედებს დაგეგმვის ახალი წესი, — განაგრძობს იგი, — მტსში არსებობს ტენდენცია ძველებურად უხელმძღვანელონ სოფლის მეურნეობას. მაგალითად, მტს-ი დავალებას გვაძლევს გავაშენოთ ჩაის ახალი პლანტაციები, მაშინ როცა ძველი პლანტაციების მნიშვნელოვან ნაწილს მოუვლელობის მიზეზით და მუშახელის ნაკლებობის გამო სარეველები მოერია. უფრო მიზანშეწონილი იქნება, რომ მტს-მა კოლმეურნეობებთან ერთად განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებითაც შესაძლებელი გახდება აღვადგინოთ და წესრიგში მოვიყვანოთ ჩაის ყველა არსებული პლანტაცია.

ეხება რა ახალმოსახლეთათვის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე ახალი სახლების მშენებლობას, ამხ. ივანიდისი პრეტენზიებს უყენებს საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, რომელიც მშენებლობას ნელი ტემპით აწარმოებს.

სამტრედიის რაიონის სოფელ დიდი ჯიხაიშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე თინა წულაძე აყენებს საკითხს, რომ სამტრედიის მტს-მა გაუმჯობესოს ეკონომიურად სუსტ კოლმეურნეობათა აგროზოოტექნიკური მომსახურება, ხოლო საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უკეთ აღჭურვოს მტს-ი სასოფლო სამეურნეო ტექნიკით.

თათბირზე გამოვიდნენ აგრეთვე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები გ. ფრანგიშვილი (სამტრედიის რაიონის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობა), ა. სომხიშვილი (გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის კოლმეურნეობა), ა. ზელიონი (გუდაუთის რაიონის ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობა), ბ. კოკოევი (ჯავის რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობა), ფ. თამასხანოვი (ყაზბეგის რაიონის სოფელ ყაზბეგის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა).

თათბირზე გააკრიტიკეს სავაჭრო ორგანიზაციების, აგრეთვე სხვადასხვა საწარმო არტელებისა და კომბინატების ხელმძღვანელები. სასოფლო მაღაზიების თაროებზე გაჭრა აკაზმულობა, შეუძლებელია შეიძინო მარტივი მარცვალსაწმენდი მანქანები, ურმისთვლის საცხისა და ნალის ყიდვაც კი ძნელია.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

აღნიშნა რა ოცდაათათასელთა პირველი წარმატებანი ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში, ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ თათბირის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომ გადაუდებელ ამოცანებზე.

— ახლა, — ამბობს ამხ. ვ. პ. მჟავანაძე, — მთავარია კარგად მოვაწყოთ პირუტყვის გამოზამთრება, თავიდან ავიცილოთ ზამთრის პერიოდში არა მარტო პირუტყვის სიკვდილიანობა, არამედ წველადობის შემცირებაც. ამისათვის საჭირო, რომ პირუტყვი სითბოში ვიყოლიოთ, კარგად ვკვებოთ, უზრუნველვყოთ წყლით და კარგი მოვლით. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს საკვების, განსაკუთრებით უხეში საკვების დაცვას და უნარიანად გამოყენებას, რისთვისაც უფრო ფართოდ უნდა ვაწარმოოთ მისი გაუმჯობესება დაქუცმაცებისა და დაორთქლების გზით.

ამჟამად კოლმეურნეობების წინაშე დგას სხვა პასუხსაგები ამოცანებიც: უნდა უზრუნველყონ მიმდინარე წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დამთავრება, სახელმწიფოსათვის მემინდვრეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების ვალდებულებათა შესრულება, გააჩაღონ საგაზაფხულო თესვისათვის მზადება, სანიმუშოდ მოაწყონ კოლმეურნეთა აგროზოოტექნიკური სწავლება. ჩვენ ღირსეულად უნდა შევხვდეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას.

— საქმის წარმატება დამოკიდებული იქნება იმაზე, — ამბობს შემდეგ ამხ. ვ. პ. მჟავანაძე, — თუ რამდენად კარგად და სწრაფად დაეუფლებიან ახალი თავმჯდომარეები — ოცდაათათასელები საზოგადოებრივი მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ხელოვნებას, რამდენად ყოველმხრივ და ღრმად შეისწავლიან მათს ხელმძღვანელობაში მყოფი კოლმეურნეობების ძლიერ და სუსტ მხარეებს, გამონახავენ და აამოქმედებენ მთელ გამოუყენებელ რეზერვებს.

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, — ამბობს თავისი სიტყვის დასასრულს ამხ. ვ. პ. მჟავანაძე, — დარწმუნებულია, რომ პარტიული და საბჭოთა ორგანოების სწორი ხელმძღვანელობითა და დახმარებით თქვენ შეძლებთ წარმატებით შეასრულოთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დავალება — გამოიყვანოთ ჩამორჩენილი კოლმეურნეობები ალმავლობისა და წარმატების ფართო გზაზე.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ფამ ვან დონგის წერილი ვ. მ. მოლოტოვისადმი

ხანოი, 6 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, 1955 წლის 25 ნოემბერს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფამ ვან დონგმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ვ. მ. მოლოტოვს, რომელიც ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საკითხზე საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირის ორ თავმჯდომარეთაგან ერთ-ერთი იყო, გაუგზავნა წერილი, რომელშიც ჩამოყალიბებულია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პოზიცია ვიეტნამის პოლიტიკური პრობლემის მოწესრიგების საკითხში.

1955 წლის 7 ოქტომბრის ნოტაში, ნათქვამია, წერილში, სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფლებმა განაცხადეს, რომ ისინი არ არიან შებოჭილი ჟენევის შეთანხმებებით, იმიტომ რომ არ მოუწერიათ ხელი ამ ხელშეკრულებებზე.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია უარვყოთ ეს აზრი. ჟენევის შეთანხმებანი, კერძოდ შეთანხმება ვიეტნამში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ, განიხილეს და ხელი მოაწერეს ერთი მხრივ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ და მეორე მხრივ საფრანგეთის მთავრობამ თავისი სახელით და ამავე დროს სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალთა სახელით.

ამრიგად, საფრანგეთის მთავრობასა და სამხრეთ ვიეტნამის ადმინისტრაციას ერთად ეკისრებათ პასუხისმგებლობა ჟენევის შეთანხმებათა შესრულებისათვის.

სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალნი, აღნიშნულია წერილში, ამიზეზებენ იმას, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა თითქოს ვერ შექმნის იმის საჭირო გარანტიებს, რომ მოიწყოს ნამდვილად თავისუფალი და დემოკრატიული საყოველთაო არჩევნები. ასეთი უსაბუთო მტკიცება სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს. ხალხი ჩრდილოეთ ვიეტნამში სარგებლობს ყველა დემოკრატიული თავისუფლებით. სწორედ ამიტომ ესოდენ დიდია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესტიჟი მთელი ვიეტნამელი ხალხის თვალში.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა დათანხმდა უზრუნველყოს საჭირო გარანტიები ნამდვილი თავისუფალი და დემოკრატიული საყოველთაო არჩევნების მოსაწყობად.

მეორე მხრივ, ნათქვამია შემდეგ წერილში, სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფლებმა ჩაახშეს იქ ყველა დემოკრატიული თავისუფლება, რითაც დაარღვიეს ჟენევის შეთანხმებანი. ისინი აზორციელებენ რეპრესიებს წინააღმდეგობის მოძრაობის ყოფილი მონაწილეების მიმართ, რაც არაერთხელ აღუნიშნავს ვიეტნამის სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიას. ტერორი და დევნა, — რა პირობებშიც სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფლებმა მოაწყეს ეგრეთწოდებული „რეფერენდუმი“ 1955 წლის 23 ოქტომბერს, ცხადყოფს სამხრეთ ვიეტნამის რეჟიმის დიქტატურულ ხასიათს.

ფაქტიურად საბაბი, რომელიც სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფლებმა წამოაყენეს, რათა უარი ეთქვათ საკონსულტაციო კონფერენციაზე, მიზნად ისახავს დაფაროს მათი მანევრები ჟენევის შეთანხმებათა ჩასაშლელად.

ჩვენ აგრეთვე ვაცხადებთ, აღნიშნულია შემდეგ წერილში, რომ ის, რასაც სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალნი გეგმავენ (ეგრეთწოდებული „კონსტიტუცია“ და „ეროვნული კრება“ სამხრეთ ვიეტნამისათვის), ჟენევის შეთანხმებათა აშკარა დარღვევაა.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნია, რომ სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალთათვის მთლიანად და საესებით საგალდებულოა ჟენევის შეთანხმებანი და რომ საბაბი, რომელიც მათ წამოაყენეს 1955 წლის 7 ოქტომბრის ნოტაში, სრულიად დაუსაბუთებელია.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა სარგებლობს ამ შესაძლებლობით, რათა მოგგაგონოთ თავისი 1955 წლის 17 აგვისტოს წერილი, რომელშიც იგი სთხოვდა ჟენევის თათბირის თანათავმჯდომარეებს მიეღოთ ყველა საჭირო ღონისძიება, რათა უზრუნველყოთ ვიეტნამის პოლიტიკური პრობლემის მოწესრიგება და ჩრდილოეთ და სამხრეთ ვიეტნამის კომპეტენტური წარმომადგენლობითი ხელისუფლების საკონსულტაციო კონფერენციის გახსნა, როგორც ეს გათვალისწინებულია ჟენევის შეთანხმებებით.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ნათქვამია დასასრულ წერილში, და მთელი ვიეტნამელი ხალხი თხოულობენ ამ პრობლემის უსწრაფესად გადაჭრას.

გთხოვთ თქვენ, ბ-ნო თავმჯდომარეო, გადასცეთ ეს წერილი შეერთებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრს, ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საკითხზე ჟენევის თათბირის თავმჯდომარეს.

ჩემი წინადადებაა აგრეთვე, რომ თანათავმჯდომარეებმა გაუგზავნონ, თუ საჭირო იქნება, ეს წერილი ქვეყნებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ჟენევის თათბირში ინდოჩინეთის საკითხზე.

ვ. გალავაძე—სსრ კავშირის ჩემპიონი

მინსკი, 8 დეკემბერი. (ხეც. კორ.). აქ, ოფიცერთა სოლქო სახლის სასპორტო დარბაზში რამდენიმე დღეა გრძელდება სსრ კავშირის 1955 წლის პირადი პირველობის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში. ოქროს მედლებისა და ჩემპიონის მაისურების მოსაპოვებლად იბრძვის 200-მდე უძლიერესი სპორტსმენი. მათ შორის არიან სსრ კავშირისა და მსოფლიოს ჩემპიონები, მრავალ საერთაშორისო ასპარეზობაში გამარჯვებული მოჭიდავეები.

შეჯიბრების დასაწყისიდანვე მაყურებელთა საერთო სიმპათია დაიმსახურა ჩვენი ქვეყნის სახელმოხვეჭილმა სპორტსმენმა ვ. ბალავაძემ. იგი პირველი დღეებიდანვე ქვესაშუალო წონაში ლიდერი გახდა. იშვიათი მოქნილობისა და სარმის უბადლო ოსტატმა ვ. ბალავაძემ ზედიზედ სუფთა გამარჯვება მოიპოვა და ფინალში ისე გავიდა, რომ არც ერთი საჯარიმო ქულა არ მიუღია.

ჩემპიონობის საკითხი უნდა გადაეწყვიტა დასკვნით ასპარეზობას. ვ. ბალავაძესთან ერთად კარგი სპორტული მაჩვენებლით ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ამავე წონის მოწინავე მოჭიდავეებმა მ. დადაშევმა და ა. შაბანოვმა.

როგორც ცნობილია საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობის გათამაშებაში, რომელიც მიმდინარე წლის მაისში გაიმართა ბაკოში მ. დადაშევმა მოუგო ვ. ბალავაძეს. ამიტომ ამჯერად მათი შეხვედრა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა. ეს შეჯიბრება ბალავაძემ მაღალი ოსტატობით ჩაატარა, ორივე ბეჭით დასცა მოწინააღმდეგე ხალიჩაზე და რევანში აიღო ვ. ბალავაძემ კიდევ ერთი სუფთა გამარჯვება მოიპოვა ფინალში ა. შაბანოვთან და სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა.

ვ. ბალავაძეს გადაეცა სსრ კავშირის 1955 წლის ჩემპიონის ოქროს მედალი, ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის პირველი ხარისხის დიპლომი და ჩემპიონის წოდელი მაისური.

სსრ კავშირის პირველობა წყალბურთში

სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის საცურავ აუზში დაიწყო უძლიერეს წყალბურთელთა ასპარეზობა ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად იბრძვის წყალბურთელთა 10 კოლექტივი. მათ შორის არიან მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, თბილისისა და ბაქოს გუნდები.

პირველი შეხვედრა გაიმართა სსრ კავშირის ჩემპიონის ცდსა-სა და თბილისის „დინამოს“ გუნდებს შორის. ეს მატჩი ხასიათდებოდა დაძაბული ბრძოლით. გაიმარჯვეს არმიელმა წყალბურთელებმა ანგარიშით 4:2. დანარჩენი მატჩების შედეგი ასეთია: „ვოდნიკი“ (ლენინგრადი) — „შრომითი რეზერვები“ (მოსკოვი) 5:3, „დინამო“ (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) 3:3, კასპიის წითელდროშოვანი ფლოტი (ბაქო) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 2:2, „ბურევესტნიკი“ (კიევი) — „ბურევესტნიკი“ (მოსკოვი) 3:3.

მეორე დღეს მოსკოვის „დინამომ“ ანგარიშით 7:3 მოუგო კასპიის წითელდროშოვანი ფლოტის გუნდს, ლენინგრადის „ვოდნიკმა“ — თბილისის „დინამოს“ 3:0, ცდსა-მ — კიევის „ბურევესტნიკს“ 4:2.

სსრ კავშირის პირველობა წყალბურთში გაგრძელდება 14 დეკემბრამდე.

„აგიტპაგორის ბლოკნოტის“ მკითხველთა კონფერენცია

პარტიის აბაშის რაიკომის სხდომათა დარბაზში გაიმართა „აგიტატორის ბლოკნოტის“ მკითხველთა კონფერენცია. კონფერენციას ესწრებოდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, პროპაგანდისტები, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელები, აგიტატორები.

„აგიტატორის ბლოკნოტის“ მუშაობისა და მომავალი ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა „აგიტატორის ბლოკნოტის“ რედაქტორმა ამხ. კ. ჯოხიძემ.

კონფერენციაზე სიტყვებით გამოსულმა მკითხველებმა შ. მაკალათიამ, გ. ჩაგანავამ, დ. ჩაგანავამ და სხვ. აღნიშნეს, რომ „აგიტატორის ბლოკნოტმა“ უფრო მეტი ადგილი უნდა დაუთმოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, ბრიგადირების, მერგოლურების და მექანიზატორების წერილებს, უფრო ხშირად ბეჭდოს მეთოდური ხასიათის წერილები აგიტატორთა დასახმარებლად, განაზოგადოს და გაავრცელოს მოწინავე აგიტატორთა მუშაობის გამოცდილება.

ი. თოდუერია.

სასამართლო

უცნაური „მგზავრები“

პატარძეულის სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლაში 25 მარტს გაკეთდა ასპარეზობა ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად იბრძვის წყალბურთელთა 10 კოლექტივი. მათ შორის არიან მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, თბილისისა და ბაქოს გუნდები.

პირველი შეხვედრა გაიმართა სსრ კავშირის ჩემპიონის ცდსა-სა და თბილისის „დინამოს“ გუნდებს შორის. ეს მატჩი ხასიათდებოდა დაძაბული ბრძოლით. გაიმარჯვეს არმიელმა წყალბურთელებმა ანგარიშით 4:2. დანარჩენი

მანქანა სამოიდე კილომეტრით გასცდა სოფელ პატარძეულს. ძარიდან ორი შეიარაღებული ახალგაზრდა გადმოვიდა, მანქანის საფეხურებზე დადგნენ, ცხენოლი ითხოვეს მანქანა გაეჩერებინა და ძარაში ასულიყო. ამის შემდეგ სოფელ ა. ოთარაშვილი მოუჯდა, მანქანა გზიდან ბინდორში გადაიყვანა, აქ სინდისგარეკილნმა ახალგაზრდებმა გაძარცვეს მანქანის მძღოლი

გიორგი ლიმონას-ძე მოსაშვილი, მგზავრები რომან ალექსის-ძე ყუფარაშვილი და რასულ რამაზ-ოღლი ნაღიევი, წაიღეს 12.000 მანეთამდე ფული, ტანსამოსი, მაჯის საათები და მიიმალნენ.

ავაზაკები მილიციამ ამ ღამესვე დაუპატრონა.

მძარცველთა საქმე ამ დღეებში განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ და მიუსაჯა ი. გიუნაშვილს 18 წლის პატიმრობა შრომა-გასწორების ბანაკში მოთავსებით, ხოლო ა. ოთარაშვილს 15 წლის პატიმრობა. მათვე მიესაჯათ ქონების კონფისკაცია და სასჯელის მოხდის შემდეგ სამ-სამი წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა.

ს. იოანავაშვილი.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების ოფიციალური ცხრილი

მოგებათა 48-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1955 წლის 30 ნოემბერს ქალაქ ლენინგრადში.

მოგება ხვდა სესხის შვიდივე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
001232	1—50	400	049599	15*)	5.000
001247	1—50	400	050141	50*)	5.000
001779	1—50	400	051151	1—50	400
001785	1—50	1.000	051198	1—50	1.000
002273	41*)	10.000	051218	41*)	5.000
002370	04*)	10.000	051353	27*)	5.000
002393	1—50	400	051373	1—50	400
002630	13*)	5.000	052175	21*)	10.000
002645	05*)	5.000	053415	22*)	5.000
002968	1—50	400	055010	23*)	25.000
003183	1—50	400	056096	46*)	10.000
004117	26*)	5.000	056160	1—50	1.000
004140	1—50	1.000	056164	38*)	50.000
004583	1—50	400	056536	05*)	5.000
004615	12*)	5.000	056976	21*)	5.000
004827	32*)	10.000	056995	1—50	400
004893	25*)	5.000	057573	01*)	5.000
005720	27*)	10.000	057890	11*)	10.000
007148	45*)	10.000	059271	13*)	5.000
008446	22*)	10.000	059430	26*)	10.000
009483	40*)	5.000	060192	35*)	5.000
010511	02*)	5.000	061134	46*)	5.000
011746	1—50	400	062957	1—50	400
013995	1—50	1.000	063456	1—50	400
014407	1—50	400	065337	31*)	10.000
015859	1—50	1.000	065353	14*)	5.000
016252	45*)	5.000	066124	21*)	5.000
016331	1—50	400	066199	1—50	400
016591	23*)	10.000	066425	33*)	5.000
017522	30*)	5.000	066601	1—50	400
017794	30*)	5.000	066940	37*)	10.000
019329	24*)	5.000	067139	05*)	5.000
020555	1—50	400	067170	06*)	5.000
021520	1—50	400	068459	25*)	5.000
022507	17*)	5.000	069211	1—50	400
022842	33*)	5.000	069372	43*)	5.000
023553	1—50	1.000	070894	39*)	5.000
024069	1—50	400	071809	01*)	5.000
025967	1—50	400	071846	23*)	5.000
026023	15*)	10.000	072215	09*)	5.000
026032	46*)	5.000	072431	1—50	400
026407	46*)	5.000	072825	24*)	10.000
026783	1—50	400	073457	47*)	5.000
027438	37*)	5.000	073482	39*)	5.000
027950	33*)	5.000	074597	24*)	5.000
030920	19*)	5.000	075593	1—50	1.000
031191	1—50	400	075716	1—50	400
031939	33*)	5.000	076689	38*)	5.000
032387	18*)	25.000	077528	1—50	1.000
032708	35*)	5.000	077535	1—50	1.000
035735	33*)	5.000	078200	06*)	5.000
035925	29*)	5.000	078408	34*)	5.000
036627	12*)	5.000	078524	1—50	400
036920	1—50	400	078627	47*)	5.000
037101	30*)	10.000	078722	43*)	25.000
037125	12*)	5.000	079676	38*)	5.000
038237	34*)	50.000	080907	49*)	10.000
038383	13*)	10.000	080935	1—50	400
039013	49*)	5.000	081716	1—50	400
039468	26*)	5.000	082008	01*)	5.000
039490	1—50	400	082118	1—50	1.000
039809	1—50	400	082163	01*)	5.000
039951	1—50	400	082416	31*)	10.000
040698	36*)	5.000	082547	1—50	400
041065	17*)	5.000	083620	45*)	5.000
041651	24*)	5.000	084669	1—50	400
041679	1—50	400	085384	1—50	400
042340	1—50	1.000	085706	47*)	5.000
042434	16*)	25.000	087776	16*)	5.000
043645	1—50	400	088422	19*)	5.000
043911	1—50	400	089222	13*)	5.000
044115	1—50	400	089340	15*)	5.000
044210	34*)	10.000	090920	04*)	5.000
044243	14*)	25.000	091097	35*)	5.000
044589	50*)	5.000	092121	02*)	5.000
044699	28*)	5.000	092189	35*)	5.000
044716	21*)	10.000	092637	1—50	1.000
045174	1—50	400	093116	10*)	10.000
045853	42*)	5.000	093613	1—50	400
046746	1—50	400	094492	45*)	5.000
047086	28*)	10.000	095844	25*)	5.000
047221	1—50	1.000	095939	1—50	400
047772	38*)	5.000	097689	28*)	5.000
048234	12*)	5.000	098003	12*)	10.000
048291	49*)	10.000	099144	28*)	5.000

*) ამ სერიის ობლიგაციების დაწარჩენ 49 ნომერს ხვდა 400 მანეთი მოგება თვითეულს.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — ლენინგრადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ა. მ. კუზნეცოვი.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი

მ. ა. სმირნოვა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის X სესია

ნიუ-იორკი, 7 დეკემბერი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე კვლავ სცადეს უშიშროების საბჭოს მესამე არამუდმივი წევრის არჩევა. როგორც ცნობილია, საბჭოს არამუდმივ წევრებად ბრაზილიისა და ახალი ზელანდიის ნაცვლად 14 ოქტომბერს აირჩიეს კუბა და ავსტრალია. იმისათვის, რომ აერჩიათ საბჭოს მესამე წევრი, გენერალური ასამბლეის 14, 19 და 27 ოქტომბრის, აგრეთვე 8 ნოემბრის პლენარულ სხდომებზე 21-ჯერ მოხდა კენჭისყრა, რამაც შედეგი არ გამოიღო. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია უშიშროების საბჭოში, ადგილების განაწილების სამართლიანი გეოგრაფიული პრინციპის დარღვევით, ჯერეთვე დიდ სახელმწიფოთა ლონდონის 1946 წლის შეთანხმების საწინააღმდეგოდ ყოველი საშუალებით ცდილობს, რომ იმ ადგილზე, რომელიც უშიშროების საბჭოში კანონიერად ეკუთვნის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, არჩეულ იქნას ფილიპინების კანდიდატურა. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ცდებს წარმატება არა ჰქონიათ, რამდენადაც ევროპის ქვეყნების დელეგაციებმა, აგრეთვე აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ზოგიერთმა დელეგაციამ მხარი დაუჭირეს იუგოსლავიის კანდიდატურას, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი ქვეყანაა.

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 7 დეკემბერი. (საკდესი). პოლიტიკური კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე დისკუსიაში განიხილეს ბისა და საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელების ღონისძიებათა საკითხზე მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთის, პოლონეთის, თურქეთის, ნორვეგიისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა.

საფრანგეთის წარმომადგენელი ჟიულ მოკი, ისევე როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში თავის უკანასკნელ განცხადებაში, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საფრანგეთი ემხრობა შეთანხმებას, ან, როგორც მან თქვა, განიარაღების შესახებ სხვადასხვა წინადადების „სინთეზს“. მაგრამ მოკის სიტყვა, თუმცა იგი ამერიკისა და ინგლისის წარმომადგენელთა სიტყვებისაგან განირჩოდა თავშეკავებული ტონით, არსებითად მიეძღვნა დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციის დაცვას, რომელიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული განიარაღების საკითხთან. ილაპარაკა რა იმაზე, რომ საჭიროა განიარაღება დაწყებულ იქნას ღონისძიებებით, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს ისე, რომ არ არსებობდეს კონტროლის სრულყოფილი მეთოდები, მოკს ამ ღონისძიებათა შორის არ დაუსახელებია არც შეიარაღების შემცირება, არც ატომური იარაღის აკრძალვა ანდა მისი გამოყენების მორალური დაგმობა, თუმცა აღიარა, რომ საჭიროა შესწავლილ იქნას „ატომის დარგში სხვადასხვა ფორმის აკრძალვა“.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელმა მ. ნაშკოვსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მსოფლიოს ხალხები გაერთიანებული ერების ორგანიზაციისაგან მოელიან ენერგიულ ღონისძიებებს შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ შეთანხმების მისაღწევად. მან, კერძოდ, კომიტეტს მოაგონა გადაწყვეტილება ბანდუნგის კონფერენციისა, რომელზეც წარმოდგენილი იყო დედამიწის მოსახლეობის ნახევარზე მეტი და რომელმაც მოითხოვა ატომგულის იარაღის აკრძალვა და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირება.

ნაშკოვსკიმ აღნიშნა, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა უკან დაიხიეს საკუთარი წინადადებებიდან, როგორც კი საბჭოთა კავშირი ამ წინადადებებს დაეთანხმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სწორედ ამიტომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიამ გენერალური ასამბლეის სესიაზე ხელცარიელი წარსდგა. ახლანდელი ჩიხი, თქვა მან, იმით აიხსნება, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლები დაეთანხმნენ მოითხოვდნენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტი მუშაობდეს მხოლოდ და მხოლოდ კონტროლის საკითხებზე და განზე დატოვოს ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი პრობლემები.

ნაშკოვსკიმ კომიტეტის ყურადღება მიაქცია იმას, რომ ოთხი ქვეყნის რეზოლუციის პროექტიც სრული დუმილით უვლის გვერდს ატომური იარაღის აკრძალვას.

ასამბლეის გუშინდელ სხდომაზე მოხდა კიდევ 8 კენჭისყრა. მაგრამ ვერც მათ გამოიღეს რაიმე შედეგი, რადგან გრძელდება ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ცდა — უშიშროების საბჭოში გაიყვანოს ფილიპინები. როგორც წინათაც, დელეგაციების თითქმის ნახევარმა მხარი დაუჭირა იუგოსლავიის კანდიდატურას იმ აზრით, რომელიც კანონიერად ეკუთვნით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს.

გენერალური ასამბლეის თავმჯდომარემ დელეგატების ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ასამბლეის სესია დასასრულს უახლოვდება, ხოლო უშიშროების საბჭოს არჩევნები ჯერ არ დამთავრებულა. საბჭოს სამი არამუდმივი წევრის უფლებამოსილება კი 1956 წლის 1 იანვარს მთავრდება. მან დელეგაციებს მოუწოდა გათვალისწინონ ეს გარემოება და სცადონ გამონახონ საკითხის გადაწყვეტა.

ამავე პლენარულ სხდომაზე ასამბლეამ მოიწონა სპეციალური პოლიტიკური კომიტეტის მოხსენება და მისი რეზოლუცია სამხრეთ აფრიკაში რასობრივი კონფლიქტის საკითხზე, რომელიც გამოწვეულია სეგრეგაციის (განცალკევების) პოლიტიკით, რასაც სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობა ახორციელებს. მოხსენების წინააღმდეგ ხმა მისცა მხოლოდ ექვსმა სახელმწიფომ, უმთავრესად კოლონიურმა სახელმწიფოებმა.

ამერიკელი ჟურნალისტის კენედის წერილი საკდესის ჟენეველი კორესპონდენტისადმი

ჟენევა, 7 დეკემბერი. (საკდესი). საკდესის ჟენეველი კორესპონდენტის სახელზე მოვიდა ამერიკელი ჟურნალისტის სტეტსენ კენედის წერილი. წერილის ავტორი გამოთქვამს სურვილს, რომ წერილის შინაარსს გაეცნოს მსოფლიო საზოგადოებრიობა.

როგორც აღნიშნულია წერილში, მიუხედავად იმისა, რომ ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის წინ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯ. დალესმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებს შეუძლიათ ამერიკის პასპორტით ჩავიდნენ ყველა ქვეყანაში, გარდა ჩინეთისა, ამერიკის ხელისუფალნი ცდილობენ ჩამოართვან სტეტსენ კენედის პასპორტი მხოლოდ იმის გამო, რომ იგი იყო აღმოსავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში. კენედი იუწყება, რომ მისი მოგზაურობის მიზანი იყო „შეეგროვებინა წიგნისათვის ფაქტები, რომლებიც ასახავენ საყოველთაო მისწრაფებას განიარაღებისადმი, საერთაშორისო თანამშრომლობისა და თავისუფლებისადმი“.

„მე, — წერს კენედი, — ამერიკელ ჟურნალისტთან პირველი ჩავედი ჩინეთში და გამოვთქვი ჩემი რწმენა, რომ ჩინეთის არ სურს ომი, მაგრამ უფლება აქვს გაათავისუფლოს კუნძული ტაივანი. ეს აზრი, რომელიც ამერიკელმა გამოთქვა, არ ესიამოვნათ ბ-ნ დალესსა და უოლ-სტრიტის ექსპანსიონისტურ ელემენტებს. როგორც ჩანს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში ფიქრობენ, რომ, ჩამომართმევენ რა პასპორტს, ისინი მაიძულებენ დაუყოვნებლივ დავბრუნდე ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ინკვიზიტორების ხელში ჩავვარდები“.

„ყველგან, სადაც უნდა ვყოფილიყავი, — აღნიშნავს კენედი, — ჩემს სტატიებში მუდამ ვხელმძღვანელობდი ჩემი სამშობლოს — ფლორიდის კეთილი პრინციპით: „არავის არ უთხრა სიცრუე და არავის არ დასჭამო ცილი“.

მაგრამ ობიექტურობა, როგორც ჩანს, არ შეესაბამება ბ-ნ დალესის მიზნებს“.

„იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი ცდილობს ჩამომართვას პასპორტი, — წერს დასასრულ კენედი, — საზოგადოებრივი აზრი შეძლებს სწორად შეაფასოს, არის თუ არა მოგზაურობის ახალი თავისუფლება, რაზეც ბ-ნი დალესი ლაპარაკობდა, მხოლოდ პროპაგანდისტული ფანდი, რამდენადაც სოციალისტურ ქვეყნებში მოგზაურობა ნებადართული აქვთ ბ-ნ დალესის შიკრიკებს და არა ობიექტიურ მეთვალყურეებს, რომლებიც აკრიტიკებენ ამა თუ იმ ასპექტს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაში“.

ურუგვაის კომუნისტური პარტიის ეროვნული კომიტეტის სხდომა

მონტევიდეო, 7 დეკემბერი. (საკდესი). 2-4 დეკემბრის მონტევიდეოში მიმდინარეობდა ურუგვაის კომუნისტური პარტიის ეროვნული კომიტეტის სხდომა. სხდომამ ანალიზი გაუკეთა ურუგვაის პოლიტიკურ მდგომარეობას, რომელიც ხასიათდება იმით, რომ გაძლიერდა მუშების, გლეხებისა და ყველა მშრომელის ბრძოლა მოქმედების ერთიანობისათვის. ეროვნულმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ გააძლიეროს პარტიის მუშაობა მშრომელთა ბრძოლაში თავიანთი უფლებებისათვის. სხდომამ განიხილა აგრეთვე მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომლებიც პარტიის XVI ყრილობამ დასახა: გაიზარდოს პარტია და განმტკიცდეს პარტიის რიგები მისი წევრების აქტივიზაციით და იმ გზით, რომ პარტიაში მიღებულ იქნან ახალი წევრები მუშებისა და გლეხების რიგებიდან; ამაღლდეს პარტიის ყველა წევრის იდეოლოგიური დონე. ეროვნულმა კომიტეტმა შეისწავლა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია იმასთან, რომ გამოიცეს თეორიული ჟურნალი, როგორც პარტიის ცენტრალური ორგანოს, ხელმძღვანელობის ძირითადი საშუალება. სხდომამ დიდი ყურადღება მიაქცია გაზეთ „ჰუსტისიის“ მუშაობის გაუმჯობესებას. ეროვნულმა კომიტეტმა დანიშნა პარტიის ახალი პროგრამის შემმუშავებელი კომისია.

სტიქიური უბედურება ინდოეთში

დელი, 8 დეკემბერი. (საკდესი). გასულ კვირაში ტანჯორის რაიონს (მადრასის შტატი) გადაუარა ციკლონმა, რომელსაც თან ახლდა ძლიერი წვიმა და ქარი. როგორც პრესა იუწყება, ციკლონს დიდი ნგრევა მოჰყვა. დაიღუპა 301 კაცი.

შემნახველ სალაროებში შეტანილი ანაბრები

ხელს უწყობს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას

სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროები იღებენ ანაბრებს მოთხოვნამდე, ვადიანს, მომგებიანს, პირობითსა და მიმდინარე ანგარიშებზე;

გასცემენ ანაბრებს მეანაბრეთა პირველი მოთხოვნისთანავე;

გზავნიან ანაბრებს მეანაბრეთა დავალებით სსრ კავშირის ყველა შემნახველ სალაროში;

აწარმოებენ აკრედიტივების გაცემასა და განაღდებას;

ანაღდებენ სახელმწიფო სესხთა ობლიგაციების მოგებას.

შემნახველ სალაროებში შეტანილ ანაბრებზე მეანაბრეებს ეძლევათ შემოსავალი პროცენტების ან მოგებათა სახით.

სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროსათვის **მინდობილი** ფულისა და ფასეულობის დაცულობა გარანტირებულია სსრ კავშირის მთავრობის მიერ.

**შეინახეთ ფული შემნახველ სალაროში